საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აგეფსთა

აგეფსთა, იაღიაფსთა, მთა გაგრის მუნიციპალიტეტში (აფხაზეთის არ), გაგრის ქედზე, მდ. გეგის მარცხ. შენაკადის აგეფსთის სათავესთან. სიმაღლე 3257 მ. აგებულია ბაიოსური ტუფ-პორფირიტებით. მკაფიოდ ემჩნევა მეოთხეული გამყინვარების კვალი. თანამედროვე გამყინვარება მცირეა, უფრო ჩრდ. კალთაზეა. 1700–1800 მ-მდე სოჭნარი და წიფლნარია, ზემოთ კი – მაღალი ბალახეული, სუბალპ. და ალპ. მდელოები. მისასვლელი გზა – მდ. გეგისა და მდ. მზიმთის სათავეებიდან.

კ. მგელაძე